Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH

giz Office South Caucasus

**German Development Cooperation**

**GIZ Office South Caucasus**
Rustaveli Ave. 42 / Griboedov Str. 31a
0108 Tbilisi, Georgia
T +995 32 2201800
F +995 32 2201801

Your reference
Our reference

13 November, 2018

# კონკურსის გამოცხადება

პროექტის დასახელება: **,,საჯარო ფინანსების მართვა სამხრეთ კავკასიაში"**

პროექტის ნომერი: **2017.2023.4-001.00**

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო,

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის დავალებით გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) საქმიანობას ეწევა გერმანია-საქართველოს განვითარების თანამშრომლობის სფეროში.

დაგეგმილი გვაქვს შევისყიდოთ შემდეგი მომსახურება საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირისგან **დანართი 1 - ის** შესაბამისად.

დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ, **21.11.2018 - ის 15:00 საათამდე** წარმოგვიდგინოთ თქვენი შემოთავაზება **ამობეჭდილი** სახით, 2 სხვადასხვა კონვერტში. 1 კონვერტში საფასო შემოთავაზება, ხოლო 2-ში - შინაარსობრივი შემოთავაზება.

შესაძლებელია შემოთავაზებები მოგვაწოდოთ როგორც ქართულ ისე ინგლისურ ენებზე.

დაგვიანებული შემოთავაზებები არ განიხილება.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ 2013 წლის მაისიდან სსკ–ს 168-ე მუხლის მე–4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება სარგებლობს გადასახადებისგან გათავისუფლებით (დღგ, აქციზი, იმპორტის გადასახადი) და შესაბამისად **ეროვნულ ვალუტაში** წარმოდგენილი ფასი **არ უნდა შეიცავდეს მოცემულ გადასახადებს.**

Deutsche Gesellschaft für
Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

Registered offices
Bonn and Eschborn, Germany

Friedrich-Ebert-Allee 36 + 40
53113 Bonn, Germany
T +49 228 44 60-0
F +49 228 44 60-17 66

Dag-Hammarskjöld-Weg 1 - 5
65760 Eschborn, Germany
T +49 61 96 79-0
F +49 61 96 79-11 15

E info@giz.de
I www.giz.de

Registered at
Local court (Amtsgericht)
Bonn, Germany
Registration no. HRB 18384
Local court (Amtsgericht)
Frankfurt am Main, Germany
Registration no. HRB 12394

Chairman of the Supervisory Board
Martin Jäger, State Secretary

Management Board
Tanja Gönner (Chair)
Dr Christoph Beier (Vice-Chair)
Dr Hans-Joachim Preuß

გთხოვთ, კონვერტზე მიუთითოთ შემდეგი:

- ფირმის/ორგანიზაციის დასახელება
- საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, საკონტაქტო პირი);

- **ტენდერის დასახელება:** სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლებისთვის ტრენინგების ჩატარება: ციფრული წიგნიერება, “Adobe Illustrator” CC 2017, საძიებო სისტემის ოპტიმიზაცია და სოციალური მედია მარკეტინგი.
- **წარწერა “კონფიდენციალურია”;**
- გთხოვთ, პასუხისმგებელმა პირმა ხელი მოაწეროს დალუქვის ადგილზე.

**გთხოვთ, შემოთავაზებაზე დასვათ ხელმოწერა.**

აგრეთვე მიუთითოთ შემდეგი მისამართი:

**GIZ-ის რეგიონალურ ბიუროს სამხრეთ კავკასიაში**
**რუსთაველის 42 / გრიბოედოვის 31ა**
**0108 თბილისი**

**მიუთითეთ პროგრამის ნომერი 2017.2023.4-001.00 და აგრეთვე ნომერი 83307795**
დანომრეთ კონვერტები: (**I - საფასო შემოთავაზება; II - შინაარსობრივი შემოთავაზება**).

შეკითხვების შემთხვევაში დაუკავშირდეთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით – შემოთავაზებების ჩაბარებამდე არაუგვიანეს 2 დღისა:
ქალბატონ ანა ჩხეიძეს (anna.chkheidze@giz.de)

წესების დარღვევის შემთხვევაში შეიძლება თქვენი შემოთავაზება არ იქნას განხილული.

შემოთავაზებების შეფასება სავარაუდოდ დამთავრდება 25.11.2018 -თვის.
დაკავშირება მოხდება მხოლოდ ტენდერში გამარჯვებულ ფირმასთან.

პატივისცემით,

ანა ჩხეიძე
ხელშეკრულებების განყოფილება

<u>**დანართები**</u>

1. ტექნიკური დავალება
2. შემოთავაზებების შეფასების ზოგადი სქემა
3. შინაარსობრივი/საგნობრივი შეფასების სქემა

# დანართი 1

## დანართი 1 - ტექნიკური დავალება

დავალების მიზანია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზისა და სტრატეგიული დაგეგმვის, ეფექტიანობისა და ეკონომიკური სფეროს აუდიტის დეპარტამენტების და მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლებისთვის ტრენინგების ჩატარება შემდეგ სფეროებში: ციფრული წიგნიერება, “Adobe Illustrator” CC 2017, საძიებო სისტემის ოპტიმიზაცია და სოციალური მედია მარკეტინგი.

ტრენინგები ხელს შეუწყობს აუდიტის ანგარიშების შედგენასთან, ბიუჯეტის მონიტორთან, ეფექტიანობის ბლოგთან და ყოველდღიურ, აუდიტორულ საქმიანობასთან დაკავშირებული, მნიშვნელოვანი ამოცანების განხორციელებისთვის საჭირო აუცილებელი უნარების განვითარებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, ასევე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომელთა საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას და ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას. სულ, ტრენინგებში მონაწილეობას მიიღებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 25 თანამშრომელი.

| | ტრენინგის თემა | ტრენინგის საგანი | საათი |
|---|---|---|---|
| 1 | ციფრული წიგნიერება | • საძიებო სისტემები, ინფორმაციის მოძიება და მოძიებული ინფორმაციის გაფილტვრა<br>• ტექსტურ რედაქტორებში მუშაობა (საოფისე პროგრამა MS Word, Adobe Acrobat Reader)<br>• ეფექტური პრეზენტაციის მომზადება<br>• ქლაუდზე მუშაობა | 27 საათი |
| 2 | “Adobe Illustrator” CC 2017 | • რასტრული და ვექტორული გრაფიკის ძირითადი პრინციპები და მასში მუშაობის მეთოდები;<br>• პროგრამის ინტერფეისი და მისი სამუშაო ინსტრუმენტები | 72 საათი |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | • რასტრულ და ვექტორულ გრაფიკაში გამოსახულების დამუშავების ძირითად პრინციპები.<br>• გამოსახულების შეცვლა და კორექცია<br>• მარტივი ილუსტრაციები<br>• ტექსტებზე მუშაობა<br>• ქოლორისტიკა<br>• საფირმო სტილისტიკა<br>• აიდენტიკა<br>• ბრენდბუკის ელემენტების შექმნას<br>• ინფოგრაფიკა- საინფორმაციო ბუკლეტების და ბანერების შექმნა<br>• სარეკლამო ბანერების დიზაინი<br>• სოციალური მედიის ბანერების ფორმატები<br>• ლენდინგ და საინფორმაციო გვერდების დიზაინი | |
| 3 | "საძიებო სისტემის ოპტიმიზაცია(SEO) /სოციალური მედია მარკეტინგი(SMM) | • საძიებო სისტემის ალგორითმების ანალიტიკა;<br>• Web ანალიტიკა<br>• სოციალური მედია მარკეტინგი<br>• ფეისბუქ მარკეტინგი<br>• ინსტაგრამ მარკეტინგი<br>• ლინკდინ მარკეტინგი | 36 საათი |

**შეთანხმების მოქმედების ვადა:**

ხელშეკრულების მოქმედების ვადაა: 17.12.18 - 08.04.2019 (15 კვირა).

წარმოდგენილი ტექნიკური შემოთავაზება უნდა შეიცავდეს დეტალურ ინფორმაციას არსებული გამოცდილების შესახებ.

გამოცდილება და ცოდნა

- ტრენერების ბიოგრაფია
- ინფორმაცია სახელმწიფო, საერთაშორისო ან კერძო სექტორის ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესახებ ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ საქმიანობასთან მიმართებით

- ციფრული წიგნიერება, “Adobe Illustrator” CC 2017, საძიებო სისტემის ოპტიმიზაციასა და სოციალურ მედია მარკეტინგის ტრენინგების სილაბუსები.

**დანართი 2 - შემოთავაზებების შეფასების ზოგადი სქემა**

შემოსული შემოთავაზებების შეფასება მოხდება როგორც ფასის, ასევე შინაარსის მიხედვით.

შინაარსობრივი შეფასების შემდეგ გაიხსნება და განიხილება მისაღები შინაარსობრივი შემოთავაზების წარმომდგენი ფირმების საფასო შემოთავაზებები. საფასო შეთავაზება მკაფიოდ და დეტალურად უნდა აღწერდეს ყველა სახის ხარჯს, რომელიც ამ ტექნიკური დავალების მიხედვით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებისთვის უნდა იქნას გაწეული.

საბოლოო შეფასებაში **შინაარსობრივი/საგნობრივი შეფასება შევა 70%-ით** და **ფასი/ღირებულება 30%** -ით.

მიღებული შედეგების მიხედვით პრეტენდენტებს პროგრამულად მიენიჭებათ რიგობრივი ნომერი. საუკეთესო მაჩვენებლის მქონე პირთან დაიწყება მოლაპარაკებები ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. თუ მოლაპარაკებები არ დამთავრდა წარმატებით, მაშინ მოლაპარაკებები განახლდება რიგით მეორე კანდიდატთან.

**დანართი 3 - შემოთავაზებების შინაარსობრივი/საგნობრივი შეფასების სქემა**

შემოთავაზების შინაარსობრივი ნაწილი უნდა მოიცავდეს
**თანდართულ ტექნიკურ დავალებაში მითითებულ ინფორმაციას**

არასაფასო კრიტერიუმები თავის მხრივ დაიყოფა წინასწარ განსაზღვრული შეწონვის კოეფიციენტების მიხედვით. **იხილეთ თანდართული ფაილი (Annex 3).**